ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №58

ქ. ბათუმი 01 მაისი, 2017 წ.

ერთის მხრივ ა(ა)იპ „ბათუმის კორპუსი“ (შემდგომში - „შემსყიდველი“) მისი დირექტორის ზურაბ ნაკაიძის სახით და მეორეს მხრივ ფიზიკური პირი, მაია ჭიჭილეიშვილის სახით (პირადი N 61001042967),(შემდგომში - „მიმწოდებელი“) „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ „საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ქ.ბათუმში ძეგლის სტატუსის მქონე შენობებზე (იხ.დანართი) სახელოვნებათმცოდნეო კვლევების ჩატარება (იხ.დანართი) (შემდგომში _ „მომსახურეობა“) (CPV71200000 - არქიტექტურული და მასთან დაკავშირებული მომსახურებები) ხოლო შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებას გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებით დადგენილი წესით.

1.2. მიმწოდებელი ასრულებს, ხოლო შემსყიდველი ღებულობს შესრულებულ მომსახურებას და ახდენს მისი ღირებულების ანაზღაურებას წინამდებარე ხელშეკრულების 2.3 პუნქტის შესაბამისად.

1.3. წინამდებარე ხელშეკრულება არეგულირებს ურთიერთობებს, რომელიც წარმოიშობა მხარეთა შორის.

2. მომსახურების ღირებულება და ანგარიშწორების წესი

2.1. მომსახურების ღირებულება შეადგენს 875.00 (რვაასამოცდათხუთმეტი ლარი და 00 თეთრი) ლარს.

2.2. აღნიშნული თანხიდან „შემსყიდველი“ გადაიხდის საქართველოს კანონმდებლობითა და საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

2.3. შემსყიდველის მიერ შესრულებული მომსახურების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით, მიმწოდებლის მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ 10 (ათი) დღის განმავლობაში.

2.4. მიმწოდებლის მოთხოვნა ანაზღაურების შესახებ შემსყიდველისადმი შესრულებული უნდა იყოს წერილობითი ფორმით, მომსახურების შესრულების შესახებ შესაბამისი დოკუმენტების დართვით.

3. მომსახურების მიწოდების ვადა
ხელშეკრულების მოქმედების ვადა

3.1. მომსახურების მიწოდების ვადა - ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 კალენდარული დღე, არაუგვიანეს 2017 წლის 10 მაისი.

3.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა - 2017 წლის 10 ივნისი.

4. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

4.1. შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის სრული დაცვით.

4.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) მიმწოდებელს წინასწარ გააცნოს ყველა იმ გარემოების შესახებ, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების შესრულებისას.

ბ) მომსახურების შესრულების დამოწმებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში მოახდინოს მიმწოდებელთან ანგარიშსწორება.

გ) მიმწოდებელს აუნაზღაუროს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით სახელმწიფო შესყიდვის მომსახურების სრული ღირებულება, მომსახურების დასრულებისთანავე.

4.3. შემსყიდველს უფლება აქვს:

ა)განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე.

ბ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შეაჩეროს ან შეწყვიტოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ დადებული ხელშეკრულების მოქმედება;

გ) დოკუმენტაციას მიღება-ჩაბარებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ტექნიკური ზედამხედველობისა და რწმუნებულების განყოფილების თანამშრომელი -**არჩილ ვარშანიძე.**

4.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

ბ) დააკმაყოფილოს შემსყიდველის მოთხოვნა დამატებითი მონაცემებისა და გარანტიების წარმოდგენის შესახებ კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4.5. მიმწოდებელს უფლება აქვს:

ა) მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული მომსახურების, შუალედური და საბოლოო ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

4. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

4.1. თუ მიმწოდებელი არ ასრულებს მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებულ თავის ვალდებულებებს ხელშეკრულებაში მითითებულ ვადებში შემსყიდველი წერილობითი ფორმით აფრთხილებს მიმწოდებელს დაიცვას ხელშეკრულების პირობები.

4.2. შემსყიდველს უფლება აქვს მიმწოდებელს შეუწყვიტოს ხელშეკრულების შესრულება წერილობითი ფორმით შეტყობინების შემდეგ მიმწოდებლის მიერ მისი ვალდებულებების ან მისი ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში თუ:

ა) მიმწოდებელმა არ შეასრულა მომსახურება ხელშეკრულებაში მითითებულ ვადებში.

ბ) თუ მიმწოდებელმა არ შეასრულა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა თავისი ვალდებულებები.

4.3 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში, ყოველ დაგვიანებულ დღისათვის

მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ფასის 0,2 % პროცენტის ოდენობით;

4.4 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

5. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა ან შეწყვეტა

5.1. ხელშეკრულების დამდებ არცერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

5.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

5.3. ნებისმიერი ცვლილება რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა.

5.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

5.5. მხარეს შეუძლია უარი თქვას ვალდებულების შესრულებაზე, თუ მეორე მხარე აშკარად არღვევს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ მოთხოვნას.

5.6. თუ ხელშეკრულების დადების შემდეგ აღმოჩნდება, რომ არსებობს რეალური საშიშროება იმისა, რომ მიმწოდებელი არ შეასრულებს თავის ვალდებულებას ჯეროვნად და კეთილსინდისიერად, შემსყიდველი უფლებამოსილია ვადაზე ადრე მოითხოვოს წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტა

5.7. წინამდებარე ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ვადაზე ადრე მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

5.8. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს აგრეთვე საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული სხვა შემთხვევებში.

5.9. ერთ-ერთი მხარის ინიციატივით წინამდებარე ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის თაობაზე მეორე მხარეს უნდა ეცნობოს დაუყოვნებლივ.

6 დავები და მათი გადაწყვეტის წესი

6.1. ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით, შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

6.2 თუ ასეთი მოლაპარაკებების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

7. სხვა პირობები

7.1. მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.
7.2. ხელშეკრულება ძალაში შედის, მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან.
7.3. ხელშეკრულება იდება ორი ერთნაირი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, თითო ეგზემპლარი ინახება ხელშეკრულების დამდებ მხარეებთან.

მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
ა(ა)იპ „ბათუმის კორპუსი“ ს/კ 445413525	ფიზ/პირი: მაია ჭიჭილეიშვილი
იურ. მის.: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. №25	ს/კ 61001042967
ფაქტ. მის.: ლერმონტოვის ქ №90ა ;	მის: ბათუმი, 26 მაისის ქ. N30
„სახელმწიფო ხაზინა“ ბ/კ TRESGE22	ს.ს. „თიბისი ბანკი“
ანგ. №GE24NB0330100200165022 GEL	ბ/კ: TBCBGE22
დირექტორი: ზურაბ ნაკაიძე	ანგ. № GE57TB7240345061600002
batumiskorpusi@gmail.com	ტელ: 593362361
	ფიზიკური პირი: მაია ჭიჭილეიშვილი
(ხელმოწერა)	(ხელმოწერა)

დ ა ნ ა რ თ ი
(№58 ხელშ. 01.05.2017 წ.)

მისამართების ცხრილი

N	მისამართი
1.	ქ.ბათუმი, რუსთაველის ქ.N7, რუსთველის ქ.N9
2.	ქ.ბათუმი, რუსთაველის ქ.N12, რუსთველის ქ.N14
3.	ქ.ბათუმი, რუსთაველის ქ.N5
4.	ბათუმი, რუსთაველის ქ.N16
5.	ბათუმი, რუსთაველის ქ.N13
6.	ბათუმი, კ.გამახურდიას ქ.N1
7.	ბათუმი, კ.გამახურდიას ქ.N2

ინფორმაცია
ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ქ. ბათუმი 01 მაისი, 2017 წ.

ვადასტურებ, რომ ქ.ბათუმში ძეგლის სტატუსის მქონე შენობებზე სახელოვნებათმცოდნეო კვლევების (CPV71200000 - არქიტექტურული და მასთან დაკავშირებული მომსახურებები) ჩატარების მომსახურეობის განხორციელებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში ჩემი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს.

ა(ა)იპ „ბათუმის კორპუსის“
დირექტორი: ზურაბ ნაკაიძე